ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/09

დაბა ქედა, **12 აგვისტო, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 11:50 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:

რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;

რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;

ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;

არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;

ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;

უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;

კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;

მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;

ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;

ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;

თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;

რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;

ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;

მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;

ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;

ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;

გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;

გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/09 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

12 აგვისტო, 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;

ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში.

დღის წესრიგის დამტკიცებამდე სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ სიტყვით მიმართა საკრებულოს წევრებს - ,,პატივცემულო კოლეგებო, 12 წელი გავიდა 2008 წლის 8 აგვისტოს ომიდან, ეს დღე ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში უმძიმესი დღეა, ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დავკარგეთ უამრავი ჩვენი თანამამოქალაქე. ქედს ვიხრი ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომში სამშობლოს სადარაჯოზე იდგა და იმ გმირებისათვის, რომლებმაც სამშობლოსათვის გაწირეს თავი, მინდა გთხოვოთ წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას!"

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ქართველებს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 აგვისტოს №01-06/09 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მ/შ გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 აგვისტოს №01-06/09 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგის პროექტი.

1.მოისმინეს: ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ წარმოადგინა ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან, 2020 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 1 სექტემბერს დღის 16:00 საათზე (მის.: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი). ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 4 სექტემბერი (შიდა დოკუმენტი: №124-04, 30.07.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება№28).

2. **მოისმინეს: ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გულადი წითელაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 21 აპრილის №684/02 წერილის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს განხორციელდეს თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა, ს/კ 21.03.35.367.01.500 და ს/კ 21.03.35.367.01.501), შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას (შემოსული დოკუმენტი: №68/04, 29.07.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

(განკარგულება№29).

(სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი თემურ ავალიანი).

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში (შემოსული დოკუმენტი: №70/04, 31.07.2020 წელი).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ მომხსენებელს კითხვით მიმართა, თუ რატომ იყო სხვადასხვა მონაცემები 2020 წლის 31 ივლისის №70/04 წერილით შემოტანილ და სხდომაზე მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს შორის?

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ საკრებულოში შემოტანილი ანგარიში შეიცავს რამოდენიმე უზუსტობას, რაც ტექნიკური ხარვეზით იყო გამოწვეული, შესაბამისად მის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი ანგარიში არის გადამოწმებული და ასახავს II კვარტლის დაზუსტებულ მონაცემებს. აღნიშნულთან დაკავშირებით შუქრი თურმანიძემ მომხსენებელს

შემდგომში გასათვალისწინებლად განუცხადა, რომ მომდევნო პერიოდისათვის საკრებულოში შემოტანამდე ანგარიში გადამოწმებულ და წარმოდგენილ იქნას დაზუსტებული მონაცემებით, მხოლოდ ასეთ შეთხვევაში მოხდება მისი სხდომაზე გატანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება№30).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 11:50 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში ნონა ბერიძე